(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

დეფოლტის და გამოსწორების განმარტება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტს გადაუხდელად და, შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსაანგარიშებლად, მე-3 სტადიაზე მყოფად (საკრედიტო რისკით გაუფასურებულად) მიიჩნევს მაშინ, როდესაც მსესხებელი 90 დღით დაგვიანებს ხელშეკრულების თანახმად გადახდას. ბანკი სხვა ბანკებისგან მისაღებ თანხებს მიიჩნევს გადაუხდელად და იღებს დაუყოვნებლივ ზომებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში მოთხოვნილი გადახდები არ იფარება სამუშაო დღის დახურვის დროისთვის ცალკეული ხელშეკრულებების შესაბამისად.

იმის ხარისხობრივი შეფასებისას, კლიენტს დარღვეული აქვს თუ არა გადახდის პირობა, ბანკი ასევე განიხილავს სხვადასხვა შემთხვევას, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ გადახდა არ არის მოსალოდნელი. ასეთი მოვლენების დადგომისას, ბანკი საგულდაგულოდ ამოწმებს მომხმარებლის სტატუსს, რათა, თუ მან არ შეასრულა ვალდებულება, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას მიაკუთვნოს მე-3 სტადიას, ან ხომ არ არის მე-2 სტადია უფრო მართებული.

ბანკმა განსაზღვრა გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ აქტივი გამოსწორებულად ჩაითვალოს. გადაწყვეტილება იმის შესახებ, აქტივი მეორე სტადიას უნდა მიეკუთვნოს თუ პირველს, დამოკიდებულია დეფოლტის აღმოფხვრისას განახლებულ საკრედიტო რეიტინგზე, და იმაზე, ხომ არ მიანიშნებს ეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

შიდა რეიტინგი და დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი

ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილება თავის საქმიანობაში შიდა რეიტინგის მოდელს ეყრდნობა. ბანკი სხვადასხვა მოდელს იყენებს თავისი მთავარი პორტფელებისთვის, რომლებშიც თავის მომხმარებლებს ანიჭებს შიდა რეიტინგის შეფასებებს Aaa-დან Ca-C-ის ჩათვლით. მოდელში მოხმარს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და, უშუალოდ მსესხებლის შესახებ ინფორმაციის გარდა, ასევე გამოიყენებს დამატებით გარე ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მსესხებლის ქცევაზე. თუ შესაძლებელია, ისინი ასევე ეყრდნობა ადგილობრივი და საერთაშორისო გარე სარეიტინგო სააგენტოებისგან მიღებული ინფორმაციას. თითოეულ სტადიას ენიჭება დეფოლტის ალბათობები, რომლებიც მოიცავს საპროგნოზო ინფორმაციას და, ფასს 9-ის შესაბამისად, რისკის სტადიების მიხედვით კლასიფიკაციას. იგივე მეორდება თითოეული ეკონომიკური სეგმენტისთვის, სიტუაციიდან გამომდინარე.

სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები

ბანკის სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები და კონტრაქტები არიან ფინანსური მომსახურების გაწევი დაწესებულებები, ბანკები. ამ ურთიერთობებისთვის ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილება აანალიზებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, როგორცაა ფინანსური ინფორმაცია და სხვა გარე მონაცემები, მაგალითად, გარე რეიტინგები, და მათ ანიჭებს შიდა რეიტინგს ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით.

კორპორატიული და კომერციული სესხები

კორპორატიული და კომერციული სესხების შემთხვევაში, მსესხებლებს აფასებენ ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილების სპეციალისტები. საკრედიტო რისკის შეფასება ეყრდნობა კრედიტუნარიანობის შეფასების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ისტორიულ, მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციას, როგორცაა:

- ▶ ისტორიული ფინანსური ინფორმაცია, კლიენტის მიერ მომზადებულ პროგნოზებთან და ბიუჯეტებთან ერთად. ეს ფინანსური ინფორმაცია მოიცავს რეალიზებულ და მოსალოდნელ შედეგებს, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის და სხვა შესაბამის კოეფიციენტებს, რომლებითაც ფასდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა. ზოგიერთი ეს მაჩვენებელი ჩადებულია კლიენტებთან შეთანხმების პირობებში და ამიტომ, მეტი ყურადღებით ფასდება;
- ▶ მესამე მხარეებისგან კლიენტების შესახებ მიღებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია. ეს გულისხმობს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებულ გარე რეიტინგებს, დამოუკიდებელი ანალიტიკოსების ანგარიშებს, საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ობლიგაციების ფასებს, პრესრელიზებს და სტატიებს;
- ▶ ნებისმიერი მაკროეკონომიკური ან გეოპოლიტიკური ინფორმაცია, მაგალითად, მშპ-ის ზრდა, რომელიც აქტუალურია კონკრეტული დარგისთვის და გეოგრაფიული სემენტებისთვის, რომლებშიც კლიენტი ეწევა საქმიანობას;
- ▶ ნებისმიერი სხვა ობიექტური და გადამოწმებადი ინფორმაცია კლიენტის მმართველობის ხარისხისა და უნარების შესახებ, რაც განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობას.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

სამომხმარებლო სესხები

სამომხმარებლო დაკრედიტება გულისხმობს კლიენტებისთვის სესხების, საკრედიტო ზარათებისა და ოვერდრაფტების შეთავაზებას. ამ პორტფელის საკრედიტო რისკი და სესხებზე შესაძლო დანაკარგების შესაბამისი რეზერვი მოქმედი სესხების შემთხვევაში ფასდება კოლექტიურად, ხოლო უმოქმედო სესხების შემთხვევაში - ინდივიდუალურად.

ბანკის შიდა საკრედიტო რეიტინგის შეფასება:

შიდა რეიტინგის შეფასება	შიდა რეიტინგი	დეფოლტის ალბათობა	შიდა სარეიტინგო განმარტება
1 კლასი	Aaa	0.0009%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Aa1	0.0016%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Aa2	0.0028%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Aa3	0.0050%	მაღალი შეფასება
1 კლასი	A1	0.0089%	მაღალი შეფასება
1 კლასი	A2	0.0159%	მაღალი შეფასება
1 კლასი	A3	0.0283%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Baa1	0.0503%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Baa2	0.0894%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Baa3	0.1589%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Ba1	0.2823%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Ba2	0.5010%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Ba3	0.8877%	სტანდარტული შეფასება
2 კლასი	B1	1.5682%	სტანდარტული შეფასება
2 კლასი	B2	2.7556%	სტანდარტული შეფასება
Class 3	B3	4.7985%	სტანდარტული შეფასება
Class 3	Caa1	8.2276%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
Class 3	Caa2	13.7533%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
Class 3	Caa3	22.0965%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
Class 3	Ca-C	33.5332%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
	Default	100.0000%	გაუფასურებული

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს იმ ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ხდება გაუფასურების გამოთვლა, და ითვალისწინებს როგორც კლიენტის უნარს, გაზარდოს დავალიანების მოცულობა დეფოლტის მოახლოებისას, ისე მის უნარს, დავალიანება ვადაზე ადრე დაფაროს. პირველი სტადიის სესხის შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამოსათვლელად, ბანკი აფასებს დეფოლტის მოვლენების დადგომის შესაძლებლობას 12-თვიანი საკრედიტო ზარალის გამოთვლის ვადაში - 12 თვის განმავლობაში. მეორე და მესამე სტადიების, ასევე შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში დამდგარი დეფოლტის მოვლენების გათვალისწინებით.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების სტანდარტიზებული შეფასების სტრუქტურას, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების კონკრეტულ განაკვეთს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს განაკვეთები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას იმ თანხასთან შედარებით, რომლის აღდგენაც ან რეალიზაციაც მოსალოდნელია უზრუნველყოფის ნებისმიერი დასაკუთრებული საგნიდან.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ბანკი მუდმივად ახდენს ყველა მისი აქტივის მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. იმის განსაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ბანკი აფასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ბანკი ასევე მიმართავს შეფასების მეორად, ხარისხობრივ მეთოდს აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსაწვევად, როგორცაა, მაგალითად, კლიენტის/სესხის შეყვანა საყურადღებო სიაში ან ანგარიშის რესტრუქტურისა ცვლილება კრედიტუნარიანობის გამოწვევი მოვლენის დადგომის გამო. საკრედიტო რეიტინგში ცვლილებების მიუხედავად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადგადაცილებული, ითვლება, რომ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურ საფუძველზე შეფასებისას მსგავსი აქტივების ჯგუფისთვის, ბანკი იყენებს შეფასების იგივე პრინციპებს იმის განსაზღვრად, ხომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების დაჯგუფება

ქვემოთ მოცემული ფაქტორებიდან გამომდინარე, ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურ ან ინდივიდუალურ საფუძველზე.

აქტივების კლასები, რომლებსთვისაც ბანკი ინდივიდუალურად გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს:

- ▶ მე-3 სტადიის ყველა აქტივი, ფინანსური აქტივის კლასის მიუხედავად;
- ▶ მე-2 სტადიის და მე-3 სტადიის კორპორატიული და კომერციული პორტფელი;
- ▶ კრედიტის ოდენობა, რომელიც შესაძლოა კლასიფიცირებულ იქნას შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად, როდესაც თავდაპირველი სესხის აღიარება წყდება და ახალი სესხი აღიარდება სესხის რესტრუქტურისა ცვლილების შედეგად.

აქტივების კლასები ბანკის მიერ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას კოლექტიურ საფუძველზე მოიცავს შემდეგს:

- ▶ ბანკის კომერციული პორტფელის უფრო მცირე ან უფრო ერთგვაროვანი ნაშთები;
- ▶ 1-ლი სტადიისა და მე-2 სტადიის სამომხმარებლო სესხები;

ბანკი ამ სესხებს აჯგუფებს უფრო მომცრო ერთგვაროვან პორტფელებად, სესხების შიდა და გარე მახასიათებლების ერთობლიობის საფუძველზე, მაგალითად, შიდა რეიტინგის, გადაცილებული ვადების, პროდუქტის ტიპის ან მსესხებლის დარგის მიხედვით.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საპროგნოზო ინფორმაცია და მრავალჯერადი ეკონომიკური სცენარები

თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში ბანკი მთელ რიგ საპროგნოზო ინფორმაციას ეყრდნობა და მათგან იღებს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორცაა:

- ▶ მშპ-ის ზრდა;
- ▶ ინფლაცია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და მოდელი შეიძლება ყოველთვის არ ასახავდეს ზარალის ყველა მახასიათებელს ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის. ამის მხედველობაში მისაღებად, დროებითი შესწორებების სახით ხდება ხარისხობრივი კორექტირებები ან განახლებები, როდესაც ეს სხვაობები საკმაოდ არსებითია.

ბანკი საპროგნოზო ინფორმაციას იღებს სებ-ის, საქსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, World and Regional Economic Outlooks-ების, S&P Global Ratings-ის და სხვ. მიერ გამოქვეყნებული წყაროებიდან. ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილების ექსპერტები განსაზღვრავენ სხვადასხვა სცენარისთვის მისანიჭებელ წონებს. ცხრილებში მოცემულია ძირითადი საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები/დაშვებები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკურ სცენარებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. „მომდევნო წლების“ სექტორი რიცხვები წარმოადგენს გრძელვადიან საშუალო არითმეტიკულს და ამიტომ, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სცენარისთვის ერთი და იგივეა:

მთავარი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი	მინიჭებული ალბათობები, %	2022	2023	2024	2021	2022	2023
მშპ-ის ზრდა, %	ოპტიმისტური საბაზისო სცენარი	25%	6.0%	5.0%	4.5%	5.5%	5.5%	5.0%
	სცენარი	50%	5.0%	4.0%	4.5%	4.5%	4.0%	4.5%
	პესიმისტური	25%	2.0%	4.0%	5.0%	2.5%	4.0%	4.5%
ინფლაციის დონე	ოპტიმისტური საბაზისო სცენარი	25%	5.5%	3.0%	3.0%	3.5%	3.0%	3.0%
	სცენარი	50%	7.0%	2.5%	3.0%	3.7%	3.0%	3.0%
	პესიმისტური	25%	8.0%	4.0%	3.0%	5.5%	4.0%	3.0%

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივის კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი იმართება ბანკის შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემით, ზემოთ აღწერილი ფორმით. ქვედა ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების სხვადასხვა კლასის საკრედიტო ხარისხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საკრედიტო განახლებულ რეიტინგების სისტემაზე დაყრდნობით:

	შენიშვნა	მაღალი შეფასება	სტანდარტული შეფასება	სტანდარტულზე დაბალი შეფასება	გაუფასურებული	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	5	739	36,897	-	-	37,636
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	-	50,666	-	-	50,666
კორპორატიული სესხები		-	153,095	1,342	-	154,437
კომერციული სესხები		-	76,453	36,833	15,632	128,918
სამომხმარებლო სესხები		16,595	7,202	947	738	25,482
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	-	42,401	-	-	42,401
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	18	14,110	8,993	3,358	-	26,461
აკრედიტებები	18	-	-	-	-	-
სულ		31,444	375,707	42,479	16,371	466,001

ცხრილი გვიჩვენებს სხვადასხვა კლასის ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	შენიშვნა	მაღალი შეფასება	სტანდარტული შეფასება	სტანდარტულზე დაბალი შეფასება	გაუფასურებული	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	5	9,866	23,828	-	-	33,694
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	-	46,518	-	-	46,518
კორპორატიული სესხები		-	128,623	31,011	-	159,634
კომერციული სესხები		-	45,882	117,932	4,204	168,018
სამომხმარებლო სესხები		5,054	3,985	907	9	9,955
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	-	46,638	-	-	46,638
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	18	7,014	18,817	9,875	-	35,706
აკრედიტებები	18	-	-	181	-	181
სულ		21,934	314,291	159,906	4,213	500,344

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ბანკის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

აქტივები	2021				2020			
	საქართველო	ეთგო	სხვა არა-ეთგო	სულ	საქართველო	ეთგო	სხვა არა-ეთგო	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოთხოვნები	37,241	3,999	1,140	42,380	27,131	10,103	1,884	39,118
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	50,662	-	-	50,662	46,518	-	-	46,518
კლიენტებზე გაცემული სესხები	294,695	-	278	294,973	320,084	-	34	320,118
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	42,059	-	-	42,059	46,223	-	-	46,223
სხვა აქტივები	424	19	61	504	458	12	60	530
	425,081	4,018	1,479	430,578	440,414	10,115	1,978	452,507
ვალდებულებები								
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	33,525	-	89,610	123,135	30,257	-	100,834	131,091
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	114,038	232	87,717	201,987	111,160	166	98,896	210,222
საოჯარო ვალდებულებები	6,147	-	-	6,147	10,528	-	-	10,528
სხვა ვალდებულებები	2,665	15	67	2,747	3,192	90	339	3,621
სუბორდინირებული ვალი	-	-	30,222	30,222	-	-	31,742	31,742
	156,375	247	207,616	364,238	155,137	256	231,811	387,204
წმინდა აქტივები/ (ვალდებულებები)	268,706	3,771	-206,137	66,340	285,277	9,859	(229,833)	65,303

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ბანკმა შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. მშობელი კომპანიისგან მოზიდული სახსრები ბანკის საქმიანობას უახლოეს მომავალში საკმარისად უზრუნველყოფს. ბანკის აქტივებს მართავს ისე, რომ უზრუნველყოს საკმარისი ლიკვიდურობა და ყოველდღიურად აკონტროლებს სამომავლო ფულად ნაკადებსა და ლიკვიდურობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ბანკი ფლობს კორპორატიული ობლიგაციების პორტფელს, რომლის დაგირავებაც შესაძლებელია ფულადი სახსრების გაუთვალისწინებელი დეფიციტის შემთხვევაში სემ-იდან სესხის აღების მიზნით. ამასთან, ბანკი ფლობს ფულად დეპოზიტს (სავალდებულო რეზერვი) სემ-ში, რომლის მოცულობაც დამოკიდებულია მოზიდულ სამომხმარებლო სახსრებზე.

ბანკი აფასებს და ზედამხედველობს ლიკვიდურობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფულადი ნაკადების წმინდა გადინებასთან შეფარდებით. ბანკს მოეთხოვება ლიკვიდური აქტივების მარაგის მუდმივად შენარჩუნება, რათა შეეძლოს თავისი გადინებული წმინდა ფულადი ნაკადების დაფარვა 30-დღიანი კალენდარული დღის სტრესული სცენარის შემთხვევაში. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა, რომელსაც წესებს საქართველოს ეროვნული ბანკი, შეადგენს 100%-ს უცხოურ ვალუტაში ლიკვიდურობის გადაფარვის და ლიკვიდურობის გადაფარვის გაერთიანებული კოეფიციენტებისთვის და 75%-ს - ეროვნულ ვალუტაში ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტისთვის. 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა ლიკვიდურობის გადაფარვის შემდეგი კოეფიციენტები აჩვენა:

	2021, %	2020, %
ლარი	161.8	97.5
უცხოური ვალუტა	250.6	160.0
გაერთიანებული	222.3	139.7

წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი ბანკისგან მოითხოვს სტაბილური დაფინანსების პროფილის შენარჩუნებას თავისი აქტივების შემადგენლობასთან და გარეზალანსურ საქმიანობებთან მიმართებით, რათა შემცირდეს იმის ალბათობა, რომ ბანკის დაფინანსების რეგულარული წყაროების შეწყვეტა მნიშვნელოვნად დააზიანებს მის ლიკვიდურობის პოზიციას. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი გამოითვლება სტაბილური დაფინანსების ხელმისაწვდომი ოდენობის შეფარდებით სტაბილური დაფინანსების სავალდებულო ოდენობასთან. 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა წმინდა სტაბილური დაფინანსების შემდეგი კოეფიციენტები აჩვენა:

	2021, %	2020, %
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი	113.8	127.0

საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტის სავალდებულო მინიმუმი, რომელიც გამოითვლება ლიკვიდური აქტივების საშუალო მოცულობის შეფარდებით ლიკვიდური ვალდებულებების საშუალო მოცულობასთან, 2021 წლის 1 იანვრიდან ამოღებულია სებ-ის ლიკვიდურობის მოთხოვნებიდან, მაგრამ რჩება მონიტორინგის მიზნებისთვის. 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა საშუალო ლიკვიდურობის შემდეგი კოეფიციენტები აჩვენა:

	2021, %	2020, %
საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	47.2	39.3

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, ბანკი მოელოს, რომ შენარჩუნებულია უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ბანკს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ბანკის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	36,740	84,206	2,102	6,038	129,086
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	60,548	50,118	99,521	-	210,187
საიჯარო ვალდებულებები	618	1,854	4,085	-	6,557
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,749	-	-	-	2,749
სუბორდინირებული ვალი	-	1,570	35,691	-	37,261
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	100,655	137,748	141,399	6,038	385,840

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	38,387	260	96,085	6,324	141,056
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	82,320	18,832	120,451	-	221,603
საიჯარო ვალდებულებები	827	2,484	8,155	-	11,466
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,621	-	-	-	3,621
სუბორდინირებული ვალი	-	1,661	39,415	-	41,076
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	125,155	23,237	264,106	6,324	418,822

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საკონტრაქტო ვადის ამოწურვას ბანკის პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით. თითოეული გამოუყენებელი სესხის პირობითი ვალდებულება შეტანილია იმ ყველაზე ადრეული თარიღით, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება.

	შენიშვნა	3 თვეზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2021	18	26,461	-	-	26,461
2020	18	35,887	-	-	35,887

ბანკის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე. ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათ ლიკვიდაციას წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მოძრაობა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და კაპიტალის ფასები. უცხოურ ვალუტაში კონცენტრაციის გარდა, ბანკს არ აქვს საბაზრო რისკის არავითარი მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. ბანკს სებ-ის დირექტივების მიხედვით აქვს დაწესებული ლიმიტები სავალუტო პოზიციებზე. პოზიციების კონტროლი წარმოებს ყოველდღიურად.

ქვედა ცხრილებში მოცემულია ვალუტები, რომლებშიც ბანკს მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა 31 დეკემბრის მდგომარეობით თავის ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებით სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი მოძრაობის ეფექტს მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია. კაპიტალზე ეფექტი არ განსხვავდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის ანგარიშგებას ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

ვალუტა	სავალუტო კურსის ცვლილება, 2021	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე, 2021	სავალუტო კურსის ცვლილება, 2020	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე, 2020
აშშ დოლარი	15%/(15%)	393/(393)	15%/(15%)	548/(548)
ევრო	15%/(15%)	1,210/(1,210)	15%/(15%)	200/(200)

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

წინასწარ გადახდის რისკი

წინასწარი გადახდის რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ბანკის კლიენტები ან კონტრაქტები იხდიან, ან თხოულობენ გადახდას მოსალოდნელ პერიოდზე ადრე, ან გვიან.

ეფექტი ერთი წლის დასაბეგრ მოგებაზე იმ შემთხვევაში, თუ წლის დასაწყისში წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი გადასახდელი ფინანსური ინსტრუმენტების 10%, ხოლო ყველა სხვა ცვლადი უცვლეელია, შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

	წმინდა საპროცენტო შემოსავლის შემცირება
2021	3,317
2020	3,103

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ბანკის მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა არის საპროცენტო განაკვეთის ნავარაუდები ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის მანძილზე, რაც ეფუძნება 31 დეკემბრისთვის ფლობილ ცვლადი განაკვეთის მქონე არასავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს.

ვალუტა	ზრდა/(კლება) საბაზისო ერთეულებში 2021	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2021
ლარი	100/(100)	1,072/(1,072)

ვალუტა	ზრდა/(კლება) საბაზისო ერთეულებში 2020	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2020
ლარი	100/(100)	1,042/(1,042)

მას შემდეგ, რაც გლობალურმა მარგულირებელმა ორგანიზებმა გადაწყვიტეს ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების (IBORs) ეტაპობრივი გაუქმება და მათი ჩანაცვლება სხვა საორიენტაციო განაკვეთებით, ბანკმა შეწყვიტა ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების გამოყენება ახალი გაცემული სესხებისთვის. იმისათვის, რომ მართლს ხელშეკრულებები, რომლებზეც ამ ცვლილებამ იმოქმედა, ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის მქონე კრედიტებს ბანკი 2022 წელს ურისკო განაკვეთებზე გადაიყვანს.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი (გაგრძელება)

IBOR-ის რეფორმა ბანკს უქმნის სხვადასხვა რისკს, რომელთაც ბანკი მკაცრ მონიტორინგს უწევს. ამ რისკებში, სხვებთან ერთად, შედის შემდეგი:

- ▶ ქმედების რისკი, რომელიც წარმოიშობა კლიენტებთან და ბაზრის კონტრაქტებთან მოლაპარაკებების შედეგად, IBOR-ის რეფორმის განსახორციელებლად არსებულ ხელშეკრულებებში აუცილებელი ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით;
- ▶ ფინანსური რისკი ბანკისა და მისი კლიენტებისთვის, რომ ბაზრები ჩამოიშლება IBOR-ის რეფორმის გამო, რაც განაპირობებს ფინანსურ ზარალს;
- ▶ საფასო რისკი საბაზრო ინფორმაციის პოტენციური არარსებობის გამო, თუ ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების ლიკვიდურობა შემცირდება, ხოლო ურისკო განაკვეთები იქნება არალიკვიდური და არადაკვირვებადი;
- ▶ საოპერაციო რისკი, რომელიც წარმოიქმნება ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებიდან და პროცესებიდან, ასევე გადახდების შეფერხების რისკი, თუ ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსი აღარ იქნება ხელმისაწვდომი.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, ბანკი შეძლებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, თანამშრომლების განათლებასა და შეფასების პროცესებს და შიდა აუდიტის გამოყენებას.

22. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

შეფასების ტექნიკის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და წარდგენისათვის ბანკი შემდეგ იერარქიას იყენებს:

- ▶ დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- ▶ დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

22. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

შემდეგ ცხრილში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი იერარქიული დონეების მიხედვით:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სამართლიანი ღირებულების შეფასება, შემდეგის გამოყენებით:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	42,380	-	-	42,380
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	-	50,662	50,662
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	294,973	294,973
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	5,338	37,538	42,876
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
სხვა აქტივები - წარმოებული ფინანსური აქტივები	-	186	-	186

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სამართლიანი ღირებულების შეფასება, შემდეგის გამოყენებით:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	-	123,135	123,135
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	-	-	201,987	201,987
საიჯარო ვალდებულებები	-	-	6,147	6,147
სუბორდინირებული ვალი	-	-	30,222	30,222
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები - წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	332	-	332

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სამართლიანი ღირებულების შეფასება, შემდეგის გამოყენებით:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	39,118	-	-	39,118
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	-	46,518	46,518
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	-	320,118	320,118
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	5,547	41,437	46,984
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
სხვა აქტივები - წარმოებული ფინანსური აქტივები	-	302	-	302

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

22. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სამართლიანი ღირებულების შეფასება, შემდეგის გამოყენებით:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	-	131,091	131,091
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	-	-	210,222	210,222
საიჯარო ვალდებულებები	-	-	10,528	10,528
სუბორდინირებული ვალი	-	-	31,742	31,742
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები - წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	640	-	640

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებებს.

ფინანსური აქტივები	საბალანსო	სამართლიანი	აუღიარებელი	საბალანსო	სამართლიანი	აუღიარებელი
	ღირებულება	ღირებულება	შემოსულობა/ (ზარალი)	ღირებულება	ღირებულება	შემოსულობა/ (ზარალი)
2021 წ.	2021 წ.	2021 წ.	2020 წ.	2020 წ.	2020 წ.	
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	42,380	42,380	-	39,118	39,118	-
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	50,662	50,662	-	46,518	46,518	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	294,973	294,973	-	320,118	320,118	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	42,059	42,876	817	46,223	46,984	761
სხვა ფინანსური აქტივები	504	504	-	530	530	-
ფინანსური ვალდებულებები						
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	123,135	123,135	-	131,091	131,091	-
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	201,987	201,987	-	210,222	210,222	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,747	2,747	-	3,621	3,621	-
საიჯარო ვალდებულებები	6,147	6,147	-	10,528	10,528	-
სუბორდინირებული ვალი	30,222	30,222	-	31,742	31,742	-
სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება			817			761

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

22. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ბანკის ყველა ფინანსური აქტივი, მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების (ე.ი. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ), და ფინანსური ვალდებულებების (ვალდებულებები კლიენტების მიმართ) გარდა ან ლიკვიდურია, ან საანგარიშგებო თარიღიდან 3 თვეში ეწურება ვადა.

ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებების შესაფასებლად ხდება მათი თავდაპირველი აღიარებისას მოქმედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარება ანალოგიური ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე საბაზრო განაკვეთებთან. ბანკის გაცემული სესხებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების პორტფელის, მომხმარებელთა ანგარიშებისა და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული დაფინანსების სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთები რჩება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დონეზე და მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ბანკის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მიღებული სუბორდინირებული სესხი აღიარებული იყო სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და არ არსებობს ნიშნები, რომლებიც ასახავდა სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან კორექტირებას მის საბალანსო ღირებულებაში.

სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები არის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა შეფასების მეთოდი ეყრდნობა აქტიური ბაზრის მონაცემებს. ასეთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების მეთოდი მოიცავს ფორვარდული ფასწარმოქმნის მოდელს, დისკონტირებული ღირებულების გამოთვლის გამოყენებით.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს ფიქსირებული და ცვალებადი განაკვეთის მქონე ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა აღრიცხული. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება მიიღება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირების შედეგად, ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი მათი სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით. ბანკის სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებისათვის იხილეთ 21-ე შენიშვნა - „რისკის მართვა“.

	2021			2020		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	42,380	-	42,380	39,118	-	39,118
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	50,662	-	50,662	46,518	-	46,518
კლიენტებზე გაცემული სესხები	109,574	185,399	294,973	127,244	192,874	320,118
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	6,463	35,596	42,059	6,602	39,621	46,223
ძირითადი საშუალებები	-	3,827	3,827	-	6,738	6,738
აქტივის გამოყენების უფლება	-	5,412	5,412	-	8,921	8,921
არამატერიალური აქტივები	-	4,863	4,863	-	4,241	4,241
სხვა აქტივები	1,408	411	1,819	1,350	177	1,527
სულ	210,487	235,508	445,995	220,832	252,572	473,404
ვალდებულებები						
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ						
ვალდებულებები	117,654	5,481	123,135	42,926	88,165	131,091
მომხმარებლების მიმართ	106,210	95,777	201,987	96,205	114,017	210,222
ანარიცხები	240	-	240	395	-	395
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	226	-	226
საიჯარო ვალდებულებები	-	6,147	6,147	-	10,528	10,528
სხვა ვალდებულებები	5,186	-	5,186	6,116	-	6,116
სუბორდინირებული ვალი	-	30,222	30,222	-	31,742	31,742
სულ	229,290	137,627	366,917	145,868	244,452	390,320
წმინდა	(18,803)	97,881	79,078	74,964	8,120	83,084

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი კომპანიისა და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიღებული დაფინანსების მთლიანმა ოდენობამ შეადგინა 141,962 ლარი (2020 წ.: 159,693 ლარი). ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დაფინანსების ეს დონე ბანკისთვის დარჩება განჭვრეტად მომავალში და რომ თანხების ამოღების შემთხვევაში, ბანკი საკმარისად იქნება ინფორმირებული, რათა მოახდინოს თავისი ლიკვიდური აქტივების რეალიზაცია დაფარვის მიზნით. იხილეთ 24-ე შენიშვნა.

გრძელვადიანი სესხები, როგორც წესი, არ არის ხელმისაწვდომი საქართველოში. თუმცა ქართულ ბაზარზე ბევრი მოკლევადიანი კრედიტი გაცივმა სესხის ვადიანობის განახლების მოლოდინით. როგორც ასეთი, აქტივების საბოლოო ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს ზემოთ წარმოდგენილი ანალიზისგან.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების მიმდინარე ნაშთები ასეთია:

	2021				2020			
	შეიძენილი კომპანია	უმალესი რანგის ხელმძღვანელები	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული პირები	სხვა	შეიძენილი კომპანია	უმალესი რანგის ხელმძღვანელები	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული პირები	სხვა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	284	-	3,946	-	270	-	961	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	322	-	2	-	36	-	-
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	2	-	9
ვალდებულებები								
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(8,278)	-	(16,960)	-	(13,233)	-	(22,192)	-
ვალდებულებები								
მომხმარებლების მიმართ	-	(9,066)	(86,502)	-	-	(9,766)	(92,526)	-
სხვა ვალდებულებები	-	-	(3)	(7)	-	-	(334)	-
სუბორდინირებული ვალი	(15,111)	-	(15,111)	-	(15,871)	-	(15,871)	-

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი:

	2021				2020			
	შეიძენილი კომპანია	უმალესი რანგის ხელმძღვანელები	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული პირები	სხვა	შეიძენილი კომპანია	უმალესი რანგის ხელმძღვანელები	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული პირები	სხვა
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	2	-	2	-	1	-	5	-
საკომისიო ხარჯი	(2)	-	(5)	-	(3)	-	(4)	-
საპროცენტო შემოსავალი მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან	-	21	-	-	-	56	71	-
საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(2)	-	7	-	(2)	-	32	-
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ								
ვალდებულებების								
საპროცენტო ხარჯი	(21)	-	(711)	-	(252)	-	(651)	-
კლიენტების მიმართ								
ვალდებულებების								
საპროცენტო ხარჯი	-	(314)	(3,121)	-	-	(311)	(2,989)	-
სუბორდინირებული ვალის								
საპროცენტო ხარჯი	(816)	-	(816)	-	(790)	-	(790)	-
პროფესიული გასამრჯელო	-	-	-	(18)	-	-	-	-

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2021	2020
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	2,275	2,264

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა შედგებოდა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 5 და დირექტორთა საბჭოს 4 წევრისგან (2020 წ.: სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრი და დირექტორთა საბჭოს 3 წევრი).

25. კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ბანკის კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია (i) ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფა სეზ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნებთან და (ii) ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა. სეზ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობის მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად საანგარიშო მოხსენების სახით, რომელშიც წარმოდგენილია შესაბამისი გაანგარიშებები და ხელმოწერილია ბანკის მთავარი ბუღალტრის ან ფინანსური დირექტორის მიერ, რის შემდეგაც იგზავნება სეზ-ში.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, ბანკმა შეასრულა სეზ-ის მიერ დაწესებული და კოვიდ-19-ის საპასუხოდ შემუშავებული სპეციალური საზედამხედველო გეგმის შესაბამისად დაკორექტირებული კაპიტალის მოთხოვნები (აღწერილია ქვემოთ, სეზ-ის სპეციალური საზედამხედველო გეგმის აბზაცში). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს დარღვეული ჰქონდა ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტი, ერთი დაკავშირებული მხარის კოეფიციენტი და მსესხებელთა ჯგუფის კოეფიციენტი. ამ დარღვევებმა არ გამოიწვია მარეგულირებლის მხრიდან რამე საჩივარი სეზ-ის მიერ მინიჭებული ნებართვის წერილის გამო.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით.

სეზ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

კაპიტალის სტრუქტურა, კაპიტალის მოთხოვნები დაყოფილია პილარ 1-ის მოთხოვნებად, რომლებიც ეხება ძირითად პირველად კაპიტალს, პირველად კაპიტალს და საზედამხედველო კაპიტალს, და პილარ-1-ით და პილარ 2-ით გათვალისწინებულ დამატებით ბუფერებად.

პილარ 1

- ▶ კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი (რომელიც შედიოდა საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებში) ცალკე გამოიყო და განისაზღვრა 2.5%-ის ოდენობით;
- ▶ კონტრიკლური კაპიტალის ბუფერი ამჟამად დადგენილია 0%-ის ოდენობით;
- ▶ სისტემური ბუფერი დაინერგება სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში.

პილარ 2

- ▶ სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერმა ჩაანაცვლა უცხოურ ვალუტებში გამოხატული არაპეჯირებული სავალუტო სესხების კონსერვატიული შეწონა;
- ▶ დაინერგება კონცენტრაციის რისკის ბუფერი სექტორული და ერთი მსესხებლის კონცენტრაციის რისკისთვის;
- ▶ წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი დაინერგება ბანკის მიერ წარმოდგენილ სტრეს-ტესტების შედეგებზე დაყრდნობით;
- ▶ მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) ბუფერი ბანკის კონკრეტულ რისკებზე დაყრდნობით.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

25. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

სებ-ის სპეციალური საზედამხედველო გეგმა

2020 წლის 31 მარტს სებ-მა გამოაცხადა საზედამხედველო გეგმა კოვიდ-19-ის უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად. გეგმა კრიზისის პერიოდში კომერციულ ბანკებს ათავისუფლებს სავალდებულო მოთხოვნებისგან, რათა მათ შეძლონ საქმიანობის გაგრძელება და ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტება. კერძოდ, სებ-მა კომერციულ ბანკებს თავიანთი კაპიტალის ბუფერების გამოყენების უფლება მისცა 2.5%-იანი კონსერვაციის ბუფერის აღმოსაფხვრით და სავალდებულო საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3-ით შემცირებით. სებ-მა ასევე დააწესა მორატორიუმი კომერციული ბანკების მიერ სავალდებულო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევებზე, რაც გამოწვეულია ისეთი გარე ფაქტორებით, როგორცაა, დამატებითი საკრედიტო ზარალი, სავალდებულო კურსის მერყეობა და სხვა. ეკონომიკური აღმავლობის ადრეული ნიშნებიდან გამომდინარე, სებ მოელის, რომ 2021 წელს საბანკო სექტორი მოგებას აჩვენებს. კაპიტალის ბუფერების აღდგენა მოსალოდნელია ეტაპობრივად ორი წლის განმავლობაში, 2022 წლის 1 იანვრიდან.

სებ-ის მოთხოვნით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მთლიანი კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მინიმუმ 15.08%-ს უნდა შეადგენდეს, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი - 9.11%-ს, ხოლო მირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი - 6.83%-ს, და ეს კოეფიციენტები გამოთვლილი უნდა იყოს ბაზელ 3-ის მოთხოვნების შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო:

	შენიშ- ვები	31 დეკემბერი, 2021 წ.	კორექტირებები	31 დეკემბერი, 2021 წ. სებ-ის მიხედვით
სააქციო კაპიტალი	15	103,000	-	103,000
გაუნაწილებელი მოგება		(21,071)	(5,912)	(26,983)
გამოკლებული: არამატერიალური აქტივები, წმინდა	9	(4,863)	-	(4,863)
მიმდინარე პერიოდის ზარალი		(4,006)	(2,147)	(6,153)
მირითადი პირველადი კაპიტალი		73,060	(8,059)	65,001
პირველადი კაპიტალი		73,060	(8,059)	65,001
მეორადი კაპიტალი		18,592	-	18,592
დამატებითი კაპიტალი		14,453	(9,197)	5,256
სულ საზედამხედველო კაპიტალი		106,105	(17,256)	88,849
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები				475,591
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი				18.68%
მირითადი პირველადი კაპიტალის/პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი				13.67%

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

25. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

სებ-ის სპეციალური საზედამხედველო გეგმა (გაგრძელება)

	შენიშ- ვები	31 დეკემბერი, 2020 წ.	კორექტირებები	31 დეკემბერი, 2020 წ. სებ-ის მიხედვით
სააქციო კაპიტალი	15	103,000	-	103,000
გაუნაწილებელი მოგება		(1,818)	(1,971)	(3,789)
გამოკლებული: არამატერიალური აქტივები, წმინდა	9	(4,241)	-	(4,241)
მიმდინარე პერიოდის ზარალი		(19,253)	(3,941)	(23,194)
მირითადი პირველადი კაპიტალი		77,688	(5,912)	71,776
პირველადი კაპიტალი		77,688	(5,912)	71,776
მეორადი კაპიტალი		32,551	-	32,551
დამატებითი კაპიტალი		18,327	(12,470)	5,857
სულ საზედამხედველო კაპიტალი		128,566	(18,382)	110,184
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები				511,914
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი				21.52%
მირითადი პირველადი კაპიტალის/პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი				14.02%

